საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1537 2016 წლის 28 ივლისი ქ. თბილისი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული ელექტრონული ტენდერის მეშვეობით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის 3^1 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, მიეცეს უფლება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს, „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 ივლისის №1409 განკარგულებით გათვალისწინებული ღონისძიებების განსახორციელებლად საჭირო საპროექტო მომსახურებისა და სამშენებლო სამუშაოების შესყიდვები, 1 652 300 (ერთი მილიონ ექვსას ორმოცდათორმეტი ათას სამასი) ლარის ფარგლებში, განახორციელოს გამარტივებული ელექტრონული ტენდერის მეშვეობით, კერძოდ:

ა) ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაციის სამუშაოებისთვის - 106 300 (ას ექვსი ათას სამასი) ლარი;

გ) ხიდების რეაბილიტაციის სამუშაოებისთვის - 734 100 (შვიდას ოცდათოთხმეტი ათას ასი) ლარი;

გ) ნაპირსამაგრი სამუშაოებისთვის - 781 900 (შვიდას ოთხმოცდაერთი ათას ცხრაასი) ლარი;

დ) საპროექტო მომსახურებისთვის - 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარი.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი